საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-1227

18/12/2019

ქ. თბილისი

ქალაქ რუსთავში, შპს ,,ემენ ქემიკალ ჯორჯიას'' გოგირდმჟავას საწარმოს მოწყობის და ექსპლუატაციის პროექტზე სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-9 მუხლის და ამავე კოდექსის I დანართის 8.2 ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გაიცეს, ქალაქ რუსთავში, შპს ,,ემენ ქემიკალ ჯორჯიას'' გოგირდმჟავას საწარმოს მოწყობისა და ექსპლუატაციის პროექტზე სკოპინგის დასკვნა N130 (16.12.2019წ.);
2. შპს ,,ემენ ქემიკალ ჯორჯიამ'' სავალდებულოა გზშ-ის ანგარიშის მომზადება უზრუნველყოს N130 (16.12.2019წ.) სკოპინგის დასკვნის შესაბამისად;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს ,,ემენ ქემიკალ ჯორჯიას'';
4. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს ,,ემენ ქემიკალ ჯორჯიას'' მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. სკოპინგის დასკვნის გაცემიდან 5 დღის ვადაში სკოპინგის დასკვნა განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და ქალაქ რუსთავის მერიის აღმასრულებელი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი